ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N11

24 სექტემბერი 2021 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2021 წლის 24 სექტემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყეშელაშვილი, გია სახამბერიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, თემურ მინაძე, მურად ბურჯანაძე, სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, მამუკა გორგოძე, მაია კბილაშვილი, თეონა ფახურიძე, მაკა მესხი, გვანცა გრძელიძე, გურამი კიკნაველიძე, გაბრიელ ღიბრაძე, ირაკლი გოგსაძე, ზაზა ზივზივაძე, ფრიდონ მაჩიტაძე, ალექსი ლომინაშვილი, დიომიდე კიკნაველიძე .

სულ: 22 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, შალვა დათუაძე, რუსუდან გეწაძე, გრიგოლ ტაბეშაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მამუკა ხურციძე - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

ლერი გუმბერიძე- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

უჩა გელხვიიძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

აზა ნერგაძე - მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი საკრებულოსთან ურთიერთობის საკითხებში.

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი: თამთა ჯიხვაძე.

სხდომა მიმდინარეობდა პირდაპირი ეთერით, სოციალური ქსელის მეშვეობით.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22-მა წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი. დღის წესრიგის დამტკიცებამდე მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელმა თინა აბულაძემ ითხოვა დღის წესრიგს დამატებოდა სხვადასხვა, სადაც წარმოადგენდა სამოქმედო გეგმის პროექტს გაცნობისათვის, რომელიც შემოტანილი იქნებოდა უახლოეს სხდომაზე, რასაც დხაეთახმა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრები.

დღის წესრიგი

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ვაჟა ჩაფიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

მომხს. ვაჟა ჩაფიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი .

თანამომხსენებელი: უჩა გელხვიიძე-მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი სპეციალისტი

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2020 წელში და 2021 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. მამუკა ხურციძე-მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

4.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

5.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მე-4 კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

6.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი საუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

7. სხვადსხვა.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 22 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ ისაუბრა **ლერი გუმბერიძემ-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: გურამ ჩხეიძემ, ირაკლი გოგსაძემ, მაკა მესხმა, მამუკა გორგოძემ, შალვა მშვილდაძემ.
მამუკა გორგოძე- საკრებულოს წევრი, იგი დაინტერესდა საერთო საცხოვრებლების გადახურვის საკითხით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნა სხდომას გააცნო, ამავე კომისიის თავმჯდომარემ-გურამი კიკნაველიძემ.

საკრებულოს სხდომა **ადგენს:**
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N15 დადგენილება:დ-67.67212672 თარიღი:24/09/2021. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 21 წინააღმდეგი-0
კენჭისყრაში მონაწილეობდა 21 საკრებულოს წევრი **(თავი შეიკავა მაკა მესხმა)**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შედეგები საკრებულოს სხდომას გააცნო; ლერი გუმბერიძემ - **მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: უჩა გელხვიიძემ, , შალვა მშვილდაძემ.

საკრებულოს საფინანსო-საბუიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო-გურამ კიკნაველიძემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 58 განკარგულება: გ-67.67212674 თარიღი: 24/09/2021 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-20 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2020 წელში და 2021 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

სამსახურის ანგარიში საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა: **მამუკა ხურციძემ-მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: გვანცა გრძელიძემ, მამუკა გორგოძემ, შალვა მშვილდაძემ

ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით, საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: **გვანცა გრძელიძემ-იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 59 განკარგულება: გ-67.67212673 თარიღი: 24/09/2021 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-20 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა:

გვანცა გრძელიძემ- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულოში რამდენიმე ფრაქციის გაუქმებამ სათანადო ცვლილება შეიტანა საშტატო ნუსხაში. მანვე საკრებულოს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა.

საკრებულოს სხდომა **ადგენს:**
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N16 დადგენილება:დ-67.67212671 თარიღი:24/09/2021 (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 20 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 20 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მე-4 კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მე-4 კვარტალში საკრებულოს სხდომებზე განსახილველი საკითხების ნუსხა სხდომას გააცნო: **გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მანვე წარმოადგინა კომისიის დასკვნა**
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 60 განკარგულება: გ-67.67212672 თარიღი: 24/09/2021 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-20 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა: ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საკრებულოს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების შესახებ ისაუბრა: **მამუკა გორგოძემ - საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ.**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 61 განკარგულება:გ-67.67212675 თარიღი:24/09/2021 (განკარგულება თან ერთვის).

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-20 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **შალვა მშვილდაძე**